

32.

# ც ი ს კ ა რ ი



1862

მ ა ი ს ი.

წელიწადი შავქუჩა.

12

1862

## წოდება თხზულებათა.

- I.—სიტყვა, უბრალო ხაჯისადმი. გაბრეულ ეპისკოპოსისა.
- II.—თამარ, საქართველთა ბატონიშვილი.  
(ისტორიული რომანი) . . . . . გრ. წყუღოვისა.
- III.—ღუქსები სსტა და სსტა მწერლებისა.
- IV.—მოწობა ქეთევანდედოფლისა. თეიმურაზ ბატონიშვილისა.
- V.—სსტა და სსტა ანბავი. (იხილეთ მეორე გვერდზე.)

## ც ფ ი ლ ი ს ს .

კრესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ცისკარი

ქართული

სალიტერატურო ჟურნალი.

გამოიცემის ივ. კერესელიძის-მიერ.

მ ა ს ი.

წელიწადი შეექუსე.

«თუ შეიუწარო სშენად,—შიითვალე. და  
უკეთუ მიუზურა ყური შენი.—ბრძენ იქმნე.»  
(წიგ. ისლ. ზირ. თავი 6. მუს. 34.)

---

## ცფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1862

Печатать позволяется. 20 Мая 1862 года.  
Ценсоръ Кайгмазовъ.

## სიტყვა

თქმული გაბრიელ ეპისკოპოსისა-მეორე უბრალო ხალხისადმი სოფელსა ზემოხეთს ჩუა-სა წელსა, შემდგომ ეპილეისის გურთხევისა.

სახელითა მამისათა და ძისათა....

დღეს, ძმანო ქრისტიანენო. მადლითა ღმრთისათა ჩუენ კაკურთხეთ ეპილეისა ესე, ნაშრომი კელისა თქუენისა, და ამას იქით იგი გუქმნებათ თქუენ სალოცავად და შესაწირავად ღმრთისადმი სულეერთა მსხუენრძლთა თქუენთა. ახლა მე მოურს აღვიხსნა თქუენ რა არის ეპილეისა, როგორ უნდა იქცოდეთ მას შინა და რა სარგებლობა უნდა მიიღოთ მისგან? ამ ეპილეისის აღშენებაზე ბევრი ძრომა და ფასი წააკეთ: ცოცხა იქნება რომ სამაგიეროთ არ მიიღოთ მისგან რომელიმე სულეირი სარგებლობა,

ხალა სარგებლობას მიიღებთ მაშინ, როდესაც შეიტყობთ რა არს ეკვლესია?

ეკვლესია, მოკლედ რომ სთქვას კაცმან, სულის ჩქარვისათვის ის არის, რაც ხორცისათვის ჩქარვისა არის სახლი, სადაცა კაცი დაიბადა და გამოიზრდება როგორც რომ კაცი თავის სახლში იშუქება დედისა თვისისგან და შერმეთ გამოიზრდება და კიდევ შერმეთ ისწავლის უოკელსა სოფლიურსა საქმესა, გამოცდის ზოგჯერ ბედნიერებასა, ზოგჯერ მწუხარებასა, სწორედ ეგრეთვე სულიერად იშუქება უოკელი კაცი ეკვლესიასა შინა: ისწავლის უოკლის ფერსა სულიერსა საქმესა, მიიღებს სულიერსა ბედნიერებასა და აღუარებს ღმერთსა სულიერსა თვისსა მწუხარებასა.

დედამან შენმან გუჟა შენ ხორციელად შენ სახლში და შერმერთ იწყო გამოზრდა შენი რძითა თვისითა, ეგრეთვე წმინდამან ეკვლესიამან, რომელი არს სულიერი დედა შენი, გუჟა შენ სულიერად ემბარისგან და შერმეთ იწყო გამოზრდა შენი ლოცვითა და ზიარებითა, ვითარცა რძითა. ნათლის ღება არის სულიერი შობა კაცისა. ვინაჲდგან მხოლოდ მით შეიქმნება კაცი ქრისტიანე; ზიარება და ლოცვა არის სულიერი საზრდელი კაცისა, ვინაჲდგან ზიარებასა შინა კაცი სჭამს ხორცსა და სჭამს სისხლსა უფლისასა. როდესაც შენ ცოტა ოდენი გამოიზარდე, მაშინ მშობელთა შენთა იწუეს ძლევა შენთა მაგრისა საჭმელითა და, როდესაც ჭასაკში შეხუჭდი, მაშინ გასწავლეს შენ მუშაობა და უოკელი სოფლიური საქმე. ამასვე იზამს წმინდა ეკვლესია სულისათვის შენისა: ეკვლე-

სიასა შინა ყოველ წირვა ღოცებასე გესმის შენ ღოცება, გალობა, კითხვა საღმრთოაჲსა წერისა; აჲ გესმის შენ ყოველ წირვასე კითხვა სახარებისა და უკეთუ გულის ხმიერად ჩაიგონებ ამ კითხვისა უეჭუჭლად შეიტყობ ყოველსა რაც ქმნა და გაამცნო ჩუენ უფალმან იესო ქრისტემან. სახარებისაგან შეიტყობ შენ რაადენი სასწაულნი ქმნა მაცხოვარმან; რაადენი გაცნო მთაქცია, რა სწაულა და დარიგება მოგვცა, როგორ ჯუარს აცუენ ჩუენთვის იგი. მესამესა დღესა აღსდგა, ამაღლდა ზეცად, წარავლინა მოციქულნი ქადაგებდ სახარებისა; ერთის სიტყუთ იქიდგან შეიტყობ შენ ყოველსა სჯულსა ჩუენსა, სამოციქულოაჲსაგან, რომელ იკითხუება წირვასე შეგიძლია შეიტყო თუ როგორ უნდა იქცოლდეს გაცი. რათა სათნო ეყოს ღმერთსა და აცხოვნოს სული თჳსი. ყოველ წირვასედ გესმის შენ მოკლე ღოცება; მრწამს ერთი ღმერთი მამა ყოველისა მპყრობელი. ზეპირად უნდა იცოდეს ყოველმან ეს ღოცება მართლმადიდებელმან ქრისტიანემან. აჲ მოკლედ არის გამოხატული ყოველი რაც უნდა რწამდეს ქრისტიანესა; ამ ღოცებაში არის თქმული. რომ ჩუენ გერწამს ერთი ღმერთი, სამ პირად ცნობილი მამა, ძე, და სული წმინდა, აღჯარებთ, რომ ძე ღუთისა მოვიდა სოფლად ჩუენისა ცხოვრებისათჳს, განკაცდა მარია მისაგან ქალწულისა, იქცოდა გაცთა შორის რცდა ათ წელს განგვანათლა სახარებითა და გამოგვხსნა ჯუარცმითა და სისხლითა თჳსითა, ეგრეთჳე აღჯარებთ სულსა წმინდასა, რომელ მამისაგან გარდამოავლინა მაცხოვარმან, მოციქულთა ზედა. გერწამს შუენი სიადუმლონი, რომ-

ლითა სული წმინდა განსწმენდს და აცხოვნებს ყოველს  
კაცსა.

ესრეთ, უკეთუ გულის ხშიერად ვისმენთ ეკლესიასა  
შინა წირუასა და ღოცუასა, უთუთ ვისწავლით ჩუენ  
ქსკუელსა ჩუენსსა.

წინეთ ჩუენ ვთქვთ, რომ ყოველი კაცი თავის სახლში  
ნახავს ზოგჯერ ბედნიერებასა და ზოგჯერ მწუხარებასა,  
ეგრეთვე ეკლესიასა შინა ჭეშმარიტი ქრისტიანე გამორ-  
ცდის სიხარულსა და მწუხარებასა სულიერსა.

უკეთუ შენ გულ მოდგიხედ ილოცე და მოინახე ცო-  
დუა შენი. მაშინ სული წმინდა მოგცემს შენ სულიერს  
უხილავსა სიხარულსა; ეგრეთვე უკეთუ მტარმან შეგატ-  
თუნა შენ, მაშინ ეკლესიასა შინა უნდა შეიწუხო გული-  
შენი ღმრთის წინაშე და ცრემლითა ევედრო ღმერთსა,  
რათა მოგიტკეოს შენ ცოდვა შენი.

ერთის სიტყვთ ყოველი სულიერი შენი ცხოვრება  
აქ უნდა იყოს.

ახლა უკეთუ გსურს რომ ეკლესია იყოს შენთვის სა-  
სარგებლო, აღასრულე ყოველი რაც გესმის ეკლესიასა  
შინა; ეცადე რომ, როდესაც შეხვალ ეკლესიაში დაივიწყ-  
ო ყოველი სოფლიური საქმე და მარტო ის გასხო-  
დეს რისთვის მოსეღნარ და რა უნდა ქმნა. ეკლესიაშიდ  
უნდა იდგე სუმათ და კრძალულად-არავის არ უნდა ელა-  
პარავო. არავის არ უნდა უეურებდე და სინჯავდე; ჭრამედ  
ყური უგდო ღოცუასა და გალობასა, და ეცადე რომ  
გაიგო და მიითვრო რომელიმე აზრი საღმრთოჲსა წე-  
რილისა, ეცადე რომ ყოველს ნაწირვეს და ნაღოცვეს

უმჯობესი შეიქმნე; ესე იგი ღმერთი უმეტესად შეიუჩუ-  
რო, სოლო ცოდვა და ამაოება მოიძულა, შეუძლია კაცმა  
შეატყოს თავის თავს თუ მიიღო მან რომელიმე სარ-  
გებლობა წირვისა და ლოცვისაგან, მით რომ მას სული  
დასკვნებული აქვს; თუ უწინ ვინმე სძულდა, ან ვნება  
რამემა ჰქონდა ცოტ ცოტად ამას ყოველივეს დაივიწყებს.

წმინდა პავლე მოციქული ქრისტესი გვეტყვს, არა  
ვითარმედ თქვენს ხართ ტაძარი ღმრთისა ცხოველი და  
სული წმინდა ცხოვრებს თქვენს შორის. დღეს ჩვენს ვა-  
კურთხეთ ეს ტაძარი ქვისგან აკებული; გარნა თუთ ჩვენს-  
ნი გვაში არის ცხოველი ტაძარი ღმრთისა. შენობა ტა-  
ძრისა ღმერთმან ჩვენსთვის გააჩინა, და ცხოვრებისათვის  
ამ ტაძარმა თქვენს უნდა გაგწმინდოს და გაცხოვნოს.  
რაც ამ ტაძარში მადლი იქნება და სიწმინდე შე-  
რმეთ თქვენს გულში უნდა შევიდეს და ბოლოს თქვენს  
უნდა შეიქნეთ ცხოველი ტაძარი ღმრთისა; თუ ეს ასეთე  
იქნება, თუ ეს კვალისა თქვენს გასწავლის, გაგწმენდს,  
მადლს და სათნოებას მოგიმატებს, მაშინ სწორეთ მო-  
გეტყმა დიდი სარგებლობა მისგან; და თუ თქვენს თქვენს-  
ნი თავი არ გამოიცვალეთ, თუ ისთვე ის იქმნებით,  
რაც აქამომდე ყოფილხართ, არ ეცდებით რომ უმჯობე-  
სნი იყვნეთ, მაშინ დაგიკარგავთ ტყუილათ შრომა და ღუბ-  
ისღ, გარნა კვადრეთ ღმერთსა, რომ ამ კვალისისაგან  
მოგტყს თქვენს და მოელს სოფელსა მშუდობა და გე-  
თილი ყოფაქცევა.



# თამარ ბაგონიშვილი.

ისტორიული რომანი.

თხზ. გრიგოლ რჩეულოვისა.

1862 წ.

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.



# თამარ საქართველოს ბატონის-მჯლი



## ისტორიული რომანი

### თავი 1.

მცხეთის ახლო, ღართის კარის გზასუდ, მარჯუნივ, განმსოლოებულს დაბალ მთასუდ სდგას თავ მონგრეული კოშკი, რომელიც გაჭეულებს აღმოსავლეთით გიჟმაჟ არაგვსა. ამ კოშკს ანუ ბებრის ციხეს იმ დროს, როდესაც იწეება ჩუჭნი მოთხრობა დიდგულად აელო თავი მაღლა და არ ეშუებოდა არც კაცის მტეობასა, არც ჭაერისას.

მას უამად შეფობდა ლაშა გიორგი.

იყო მარტი და დიდმარხუა. კოშკის ძირში, ანთებულს ცეცხლს გარე შემოსსდომოდნენ მგზავრები, რომელნიც, როგორც ეტეობოდათ, იეუნენ მომავალნი შორიდგან, — და შექცეოდნენ სამხარსა. ერთი მათგანი, ყველასუდ უნცროსი, თხუთმეტისა ანუ თექქსმეტის წლისა, იყო სრულადად გახუჭული და დაშარტული შაღებით, და თბი-

ლი ებალახი ნახევრად ძლივს უჩენდა მას სხესა. მარჯუნივ მხარეს უკდა ამ ემაწვლს ბრტყელ მხარ ბეჭიანი ჭლარა კაცი, რომელიც შერხევით აწოდებდა მას ზეთის ხილსა. მარცხნივ მესამე მგზავრი, შავ წუწრულვასა და გრძელ თმიანი, უჭრიდა თხლად კაკალა ჰურსა. ემაწვლი მგზავრი კელებს არ იმეტებდა სხამარებლად, თვთქოს ეშინოდა, სინცივს ანუ ცეცხლის აღს არ აელანძა. მგზავრებს თავსეად ადგათ ღვინის დამსხმელი, რომელიცა ხშირად უმარჯუწბდა აზარფეშას წითელის ღვინითა ემაწვლ კაცსა, მაგრამ ესკი ძლივს მიიკარებდა ტუჩებსეად აზარფეშის პირსა და ისევ სავსეს უბრუნებდა; ჭლარა და შავ წუწრ უღვასა, თუ ჰურის ლუკმას დაიკვანებდნენ, ღვინით ისრულებდნენ დანაკარგსა.— რადენსამე ნაბიჯსეად ეგრეთეწ ცეცხლის გარეშემო ისხდნენ ოცნადე კაცი, ებალახს და ნაბად წამოხსმულები, რომელთაც კელში ეჭირათ შეკმაწული ცხენები. ესენიც შეექცეოდნენ სამხარსა, მაგრამ არ იუწენ ერთმანერთის თავსაში, და ცდილობდნენ დაესწროთ ერთმანერთისათვის ანუ მეტი ლუკმა ანუ მეტი მათარა ღვინო.— დაღალული ცხენებიკი შურის თოქალით უეურებდნენ იმათ ჭამასა-

დიდხანს მგზავრები ძდუმარებით შეექცეოდნენ სამხარსა; ბოლოს ემაწვლმა მგზავრმა შესედა კოშკსა და ნარნარის ხმით სთქუა:

ეს კოშკი ვინიცის რადენის საცოდობის მოწამე არის საქართუწლლმას!

— მაგას გამარჯუწბაც ბეკრი უნახამს ჩუწნის მეუეეებისა, წამოიურა ჭლარა კაცმა.

—გარსევანი.—უთხრა ჭაღარა კაცსა ემაწულმა მკსა-  
ურმა: შავწუხდი დიდხნის მოკსაურობით, და მსურს  
მცირედ ხანს კიდევ შევიცადოთ აქა; დროს გასაცარებ-  
დადღა გეტოდინება რამე ამბავი ამ ადგილებისა ძუწლი  
თუ ახალი.—გვიამბე.

გარსევანმა ჩამოიხრა კელი პირისახეუდ და წუწრ  
ულვაშსუდ, შემდეგ ორიოდე ჩახუწლა ხმის გასაწმენ-  
დად და დაიწყო:

უნდა მოგახსენოთ, რომ სახელოვანთა და გმირთა  
საქარბთუწლას მეფეთა შორის იყო ვახტანგიც. რომელ-  
საც სპარსთ უწოდეს გურგასლან, ქართულათ: მკელ  
ლომად. ათის წლისა თურმე იყო, როდესაც ისა ავიდა  
სამეფო ტახტსუდ.—ამის მცირე წლოვანებით ისარგებლა  
ოსეთის მეფობელმა, საშინელმა ვაჟკაცმა და კელძლო-  
ვანმა ბაყათარ ოსმა, და მოჭსტაცა დაჲ, საკელად მიწან-  
დუხტ, მშუწნიერი ქალი, რომელიც, რა ჭასაკში მოსულ  
იყო, დაესო მას ცოლად.—ვახტანგი შეიქმნა ოცდა ხუთის  
წლისა, მაგრამ ახოვანი ტანი მისი კაცს თურმე შეხარა-  
მდა. მას ახსომდა ბაყათარ ოსისაგან საქარბთუწლოს აო-  
ხრება და თავის დის დატყუწება. მოახწია ჟამმა სამა-  
გიეროს გარდახდისა. ვახტანგმა შეკრიბა დიდი ჯარი და  
წავიდა ოსეთსუდ.—იმ ჟამად ბაყათარ წასულიყო ხოხარ  
მეფესთან. ვახტანგმა ადვლად ააოხრა ოსეთი, დიდის  
დაკლით ჩამოიყვანა თავისი დაჲ ორის ვაჟით და ერთის  
ქალით შუშანიკათი.—ეს ამბავი, რასაკურწლია, ჩქარა  
მიუვიდა ბაყათარსა; ახლა ამან შეკრიბა ოსნი და ხანა-  
რელნი და გადმოაბიჯა კავკასიის მთასა; წვთა და აოხ-

რებით ჩამოასწია, აკერ ჩუქნ ზირდაზირ რომ მიხდო-  
რი მოხანს, არაკვს გაღმა, იქამდინ და იქ დაბანაკ-  
დნენ.—ვახტანგ შეფე იმ ყამად სპარსეთისაკენ იყო. და  
რას ანბაკი მიუვიდა, მოეშუქლა სანქაროდ საქართუქლო-  
სა.—ძუქლთ ჩუქნულებისამებრ, ჯერ რამდენსამე დღეს  
ჩუქნსა და იმათ ფაღაუნებში იყო ბრძოლა. იმათმა ფა-  
ღაუნმა ხოხარელმა კეშაზივით გოლიათმა მოგუკვას სპა-  
რსეთიდგან მოყვანილი ფაღაუნნი ფარსმან ფარუხ, ერ-  
თის ხმლის დაკვრით ჩაბალახედ. მასთან ბრძოლა ჩუქნს  
ჯარში ველარავინ გაბედა. შემდეგ ბაყათარ ოსმა მოინ-  
დომა ვახტანგ შეფესთან ბრძოლა.—მანაც უარი არ შე-  
უთჷლა. შეფეს მოეხვივნენ ნაზირ კეწირნი და უშლი-  
დნენ ბაყათართან ბრძოლასა, რადგანაც ისი დიდად გან-  
თქმული იყო კელ ღონიერობით და ისრის მარჯუქდ  
მსროლობაში. მაგრამ შეფემ არ დაიშლა. «მე მსურსო,  
ბძანა მან: რომ ჩემის დის გამაუზატორებელმა ჩემის  
გელით მიიღოს ღირსეული სასჯელი.» შემდეგ შეფე შე-  
ბძანდა კარავში, მსურვალეთ ილოცა; ღაღადებით ემთხვა  
პატოისანს ჯუარსს; მიქსცა მან მოხელეთა საჭირო და-  
რიგება როგორც უნდა მოქცეულიყუნენ ვინცობაა შემ-  
თხუქვოდა რამე უბედურება აღჯდა ტაიჭსედ, შეტურვილსა  
ჯავშნითა და აილო ფარი ვიგრის ტყავისა, რომეჯსაც  
ძნელად ჭკუქტდა მახული და გავიდა ასპარესუქდ. შეხე-  
დულებს მისი კაცს თუაღს მისტაცება, და თითქოს აღ-  
რევე მტერიც დარწმუნდა, რომ გამარჯუქება მას უნდა  
დარჩომოდა.—შექსწედა ორივეს მხარეს ბუკების ხმა;  
წელმა თითქოს შეყენა ხმიერება თვისი; ჯარმაც შეწვტა

სუნთქვა და უოკვლინი ჭეჭრეტად გარდაიქცნენ. დაახლოვდნენ პერძოლნი ერთმანერთსა, და ვახტანგ მეფეს ღმერთმა კელი მოუმართა, და პირუჭლისაჲ ისრის სრულით, ბაუათარ ოსა ცხენიდგან ძირს ჩამოაგდო შიშვედ დაკოდილი, და შემდეგ მეფემ ხმლით მოუღო მას ბოლო — (\*)

მაშინ ოსისა და ხოზარის ჯარნი რა მოაკლდნენ თავის განთქმულს ბელადისა, მოვიდნენ და დაუკრეს თავი მეფესა და ჭსოხრავს მიღება მათი თავის ვიფარუჭლობასა ქუჭუქუ.—ხოლო მრავალთა მათგანთა მოისურუჭნნენ მანქნა ჩუჭნა სარწმუნოების მიღება და ქართლში დასახლება. მეფემ სიხარულით აღუსრულა თხოვნა, მაგრამ ბოლოსკა თურმე სასიხარულო: ოსნი ქართლს ქურდობით იკლებდნენ და ისევ შთაში იპარებოდნენ.

ამ გუროდ ეს არაგვ და ეს მინდვრები პირუჭლნი იუქნენ მოწამენი მეფე ვახტანგის გმირობისა. რა დაასრულა გარსევანმა ამბავი, მგზავრებს მოესმათ სამღერის ხმა, მგალობელი:

«მიმავალი ცას შეჭსტირის, ეუბნების, ეტყუეს მზესა:  
აჭა. მზეო. გააჯები შენ უძლებთა მძლეოთა მძლესა,  
გინ დაბაღსა აამაღლებ, მეუობასა მიჭსტემ სკესა,  
მე ნუ გამყრი საეჭარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა.»

წამდენსამე წამს შემდეგ გზასედ გამოხდა თვით

(\*) ეს ბრძოლა იყო დარიალთან არაგვს პირწყედ.

შომღერალიც, რომელმაც რა ღანისა  
ეს კრება, მიაქცია ამათკენ ცხენი თავისი. განმარჯვებს  
თქვენნი უოხრა მათ ახალმა მისსულმა. ეს იყო ყმაწვილი  
გაცი ოცდა ორის წლისა, მალედი მოყვანილას ცაისსა;  
დაბროწილი ღოგები, ახლად ამწქანსუდი უღვაშები გამო-  
აშვარებდენ იმის სიჭაბუკესა და სამრთულესა. შესხუდა-  
ობა შავარდენივით გადავლო ამ ხალხს ელვარე თკლები,  
გამოაზღაპარებდა იმის შეუბოვარ გამბედაობას და ნარ-  
ნარი ზირ-მღიმარობა უფრო უშქვსუბდა თავათვე მიუწ-  
ნიერსა სასესა. ჭაბუკმა ნამეტნავით დაწყო ცქერა ახალ-  
გახდა მგზავრსა, რომელიც ცდილობდა დაეკარგა თვისი  
ყბაღასი; მაგრამ ეს მოძრაობა შეამცნია უცნობმა ყმა-  
წვილმა გაცმა, უფრო მიანდოვდა მას, და თვალი თვალში  
გაუყარა.

გამარჯვებს თქვენნი! განამეორა ახალმოსულმა და  
უფრო გამომცდელის თვალით დაწყო ყურება ყბაღა-  
ხან ყმაწვილსა, რომლის გულს მისწიდა ელვა მისის  
თვალებისა; ყმაწვილი აირია და გერ ჭბოუბდა მისამართსა  
მოეშორებინა თავი.

გარსევანმა შეამჩნია ეს ბევრითა და უადგილო ცქერა  
და მოინდომა მოეშორებინა თავიდან უსიამოვნო სტუმარ-  
ნი. ამიტომ დაიჭირა ცხენის ვიღავი და უოხრა:

— გაგიმარჯოს! შენის ცხენის მოუთმენლობაზედ  
გატყობ, ყმაწვილო, რომ მიეჩქარები სადღაც. სახელი  
შენი?

— შილვა.

— კარგი და კეთილი რადგანაც საჭირო საქმე გქო-

ზედაც უარის თქმა—უოველივე ესე მარწმუნებს. რომ ის უნდა ეოთვილიყო ქალი ვაჟურად ჩაცმული — იმის ელვათვალები, რომელთა სხივნიც ვერ ისევ გულის შიტოობენ. აქ უნდა ერთი რამ ეშმაკობა იყოს. მაგრამ თუ მოტაცებული ჰქონდეთ, იმადენი ამაღა რათ მოჭსდევს, ან რატომ დაღონებული არ იყო? ჩუქნის შეფეს გარეუნილს ვაცს ანბობენ; იქნება ვიტანმე მიჭსდას. ეს ძვრფასი სანუქარი? იქნება თუთ იმ ქალმა არ იცის სად მიჭყავთ ან რასოვს? — შალვა ამ ფიქრებთან ძაღას ატანდა ცხენსა, თითქოს ეგონა, რომ იმის მოწყენასხედ არის დამოკიდებული ბედი და უბედურება იმ ემაწვლისა.

იქნებოდა ვახშმოება, როდესაც შალვამ მოატანა მუხათ გვერდის დუქასსა. მაშინვე გავზავნა მსახური თვისი ივანე დასაზიქსრებლად და შესატყობრად — გაუვლიათ მგზავრებს თუ არა.

ივანემ ანბავი მოუტანა, რომ მგზავრებს ყველასა ჰქმანამთ, მაგრამ ემაწვლი ცაცი მასთან არა სჩანს.

ამით უფრო დამეარდა შალვა თავის ფიქრსედ, რომ ის ქალი მოტაცებულია. ნუ თუ მარტო დაკეტეს სადმე შიშით, რომ დამე არ გავარგოდათ? ამ ფიქრში შალვამ გარდავილო თუელი კომკესა და ნახა, რომ კომკის სარგმელადამ სამთლის შუქი გამობუქტავდა. შალვა მაშინვე გარდმოხტა ცხენადგან, მიუვლო ივანეს აღვრი და უთხრა:

— შენ ამ ბუჩქს მოეფარე, დაუყარე ცხენებს სავშემელი, თუთონ შუც დანაურდი, მაგრამ ნუ დაიძინებ, ნურც უჩემოთ უნაგირებს დახსნი ცხენების; ყური მახვლად ბე-



ჭიროს: იქნება მომინდეს შენი თავი — რა ეს დარეგება  
მიჭისცა, შალვამ მიაქცია საბიჯი თუნი კოშკისაკენ. გაფ-  
როთხილებით ავიდა იარ სამ კიბესა და მიაწვა კარებსა,  
რომელმაც კარგა ტატა-ტექი მოიღო, მაგრამ არ გაუღო.

შალვამ სიფრთხილით დაარახუნა კარები.

შასუნი არ იყო,

მეორედ დაარახუნა კარი უძლიერეს პირუტყლსა. —

— ეინ არის? შემოჭსძისა კოშკიდან ხმაჲ.

შალვამ მაშანკე იცნა, ვისაც კუოჲსოდა ეს სასაამო-  
გნო ხმა.

— კარი გაშიღე, შენ გარდას, უთხრა შალვამ.

— ვინა ხარ?

— შენი მცნობი მტავარი, მიუგო შალვამ.

— ჭჭით ჩაბძანდით, ჭჭით! გარსევანი და სხუანი  
ჭჭით არიან. იმათთან მამძანდით. —

— ისინი ხერხსამეს; გერავინ ჩავუღე გონში... ჩქარა  
კარი გაშიღე. სიცივით ვიყანები.

— არ შეიძლება კარის გაღება, მეცა მმანამს; ისევ  
ჭჭით მიბძანდით და ბიჭები დააღუქეთ.

— ვეღარ ჩავუღე; კარები გაშიღე სულ სველი კარ;  
უინულები მკიდას თუ პირსკედა... ცხას შესამოკლებლად  
წუალში გამოვადურე ცხენა, ფასი მკოსა და მკვდრი ულა-  
მდინ წუალში მატარა ცხენმა, გასაღამ დავინჩე. სიცივისაგან  
გბილები მკვრიის; ესე აღარ შემორჩა ღებება საღაპარაკოდ.

— მაინც ვერ გაგიღებ კარსა. ძირს ჩადით. მე აქედან  
გადმოკახებ ბიჭებსა, რომ ცეცხლი აგინოთ.

— ბაჭი მეცა მყავს, მაგრამ ცეცხლი არსად არის,

გამჭრალა; აბედით ანთებენ მე ვერ მოუტლად: სიტყვე გა-  
მაშეშებს. ოო, ჩქარა, თორემ ძვლები მიუინდება.

შალვამ ტყუილად იწუხ კბილების გაწკაწი, და თრთო-  
ლა, თუთქმის გააცივალ.

— გინდა მანდ მოგაწოდო ტყცხლი? უთხრა ხმამ კოშ-  
კიდგან: მუკუსლეს მანდ ხამოგიური და ძირს ანთები-  
ნე ტყცხლი. აქ შენი შემოსულა არ შეიძლება.

— კარგი, კარგი! კარი გააღე და მე ხაიციან მუკუს-  
ლესა. განა ქართუშლი კაცი ეგრე შეუბრალებელი უნდა  
იყოს?

კოშკში მეოფეს ასე მოერიან სიბრალული, რომ  
თავისი ვინაობა და მდგომარეობა დაავიწყდა:  
ასე გაშინჯვით, რომ მრავალი და გრძელი თმის ნაწნავე-  
ბი და კაკები მხრებზე და გუფსზედ წქინდა გადმოყრი-  
ლი, ამ სახით ქალი წამოხტა და ძივარდა სასიულეს გა-  
საქრობად იმ ახრით, ეგების შალვას არ დაესახა ისი  
სანთლის შექცე. მაგრამ საიდუმლო გამოცხადდა: შალვამ  
კარის ჯუჯურუტანიდამ შეასწრო თქალი სასთულთან ქალ-  
სა კარსკულავსა, და წაიბუტბუტა: « ოჰ! გუფსენიერი  
გუოფილვარ!.. ნუტავი ჩქარა გამოიღოს კარი! »

მანამ ამ სიტყუებებს დასრულებდა, ქალმა დაავლო  
ერთს მუკუსლეს გული და რა კარებიდგან გამოუყარა  
ურდული ვიწოდა შალვას.

— გამადლობ! უთხრა შალვამ: ერთი მუკუსალიც რომ  
მიბომლოთ გამომიხსნით სიუჭდილისაგან. ქალმა უგრძნო  
ბლად დაუტკვა ღია კარი და მოექცა ცადადცა ფეხი  
ბურხისაგან მუკუსლის ასალებად, შალვამ შეაღო კარი

და მსწრაფლად ჩაკეტა ურდულით. ქალმა რომ გელარა განწყობრა, დააგლო მუცუხალი და უთხრა: აქადა ცეცხლი, რავდენიც გინდოდეს გაიტანე.

მაგრამ ემაწული კაცი არ ეხქარებოდა არც ცეცხლის გატანას არც გატუობას. ღიმილით მივიდა ბუხართან და აანთო სამოელი.

— არა, თქქუსმეტის წლის ემაწული კაცი ხარ, უთხრა შალვამ ღიმილით: რისა გერიდებოდა და გეშინოდა, რომ კარებს არ მიღებდი? მე რომ წყალში ჩავარდნა არ მომეგონა, იქნება ეხლაც კარსკედ შემატაცუნა...

ქალს სინტხვლით და შიშით ოფლს ასხვდა. იმან არ იცოდა რა ექმნა შეჭხუწწნოდა თუ დამუქარებოდა. ამასობაში შალვა დაუხლოვდა ქალსა.

— ახლოს არ მოჭიდგე! შეჭხძახა ქალმა: სუ თუ შეგფერის მოტყუება? რისთვის ამხსველ აქა? რას ელი? შენმა სინტრუკემ გამაღებინა კარები; არ მოველოდი შენგან ამ გუჰარს კადნიერებას!.. იცოდე. ერთის დაყურებით ქუწლით ხალხს ფეხსკედ დავაყენებ, და მაშინ გებრალუბოდეს თავი; არ მიხედვენ შენს თავადის შვლობასა.

— დამშვდდი, ქალო, მე მსურს შენთან მხოლოდ მეგობრულად მოვილაშარკაო, და იქნება ამ უწუწდრების მაგიერად მიმადლიდე როდისმე. —

— ან შენ უნდა გახვდე აქედამ, ან მე: ორნი ერთათ ვერ დავრჩებით, თორემ ჩემნი მტუწლნი უკუწუწლად აბუწუწნ.

— აა, მემუქრებით! გინდა მაგით შემარყო? რახან ეგრეა, მე დავარწმუნებ, რომ ვერც შენ გახვალ აქედამ

და კერძ შენი მტრებსნი ამკუწებს, უოხრა შალვამ, და ვითარცა ელვა, მივარდა ქალსა და ქრტაცა კელი მავაში.

ქალმა მხოლოდ შეტკივლს და დაინოქა, მთრთოლვარემ ფერ მახდილმა

— შალვაკ, იცოდე, რომ ერთას წამის სიამოვნება შენც და მკც სიცოცხლედ დაგვკვდება. ნუ თუ ქრისტიანმა საქართველოს თავის შულმა უნდა ისარგებლოს ამ გუარის მდგომარეობით გასათხოვრის ქალისა?... არა გუკვს დედა? არა გუკვს დაა?... წარმოიდგინე ისინი ჩემს მდგომარეობაში. რის ღირსი იქნება ის კაცი, რომელიც ამ უპატიურებას მიაყენებს მათ?... რას ეტყუხ მას ქრტიანსა, ღმერთი, სწინდისი?... იმათ სავმართო სახელს გაფიცებ, ნუ გეკრუვი ჩემს სიკუდილში!.. გახსომდეს რომ ქრისტიანი ხარ.. დამეხსენ გადაი აქედან.

— დამხედდი, ქალა, მე არა ვარ იმ მსეტაცანი. რომ შენ შეგამთხვო რამ ცუდი. ნუ თუ ავი რამ განფიქრე ჩემსკედა? მე, რომელიც შენს დასახსნულად მოვედი, მე რომელიც მხოლოდ შენს ბედს იურებასედ ვაფიქრობდი აქ მოსვლის უმისა; რომელსაც თავი უნდა შემეწირა შენთვის!... ოო, მომატვე უნებური შაში, რომელიც უგუნურის ხუმრობით მოგაყენე... აჭა ჩემი ხანჯალი; თუ რომ ერთი სიტყვა გიდეკ წამომცდეს მეტი, ანუ კადნიერის შემოხედულებით გაწეინო, მაშინვე შეუბრალელებლივ გუღში დამეც. ღმერთმა ხომ იცის, რა შიშის ფიქრმა შენსკედ ამომიუქანა აქა.— შენ მახსენე დედა და დაა; იმათის პატიოსნებით დამეფიცე—დედა არ მახსოვს, დაც არ მეოღია, მაგრამ ეს გახსენებაც საკმაოდ

არის ჩემთვის, იცოდეთ, რომ ჩემში ზატოისების და ერთგულების გარდა, სხვა დირსება არა იპოვებარა, და გიდეკაც კარსი იუჩენს მაჩესნი ჩემის აქ მოსვლისა — მე პირაქტლს ნახუჩკედვე მივხედი, ანუ გუღმა მაგრძინობინა, ვინც იყავი შენა, და საშაშროკებაშა მეკულებოდი. დმერთმა ინებოს, რომ მოტეუებული ვაეო ჩემის ფიქრისაგან, რომელიც წარმომადგა შენსგამო, რა გნახე ვაჟურად ჩინებული, დმერთს ვსთხოვ, რომ ეც ტრემლი, რომელიც გადმოგდის ესლა დაწქსბრედ, იეოს შემაშრომელი იმ მწარეს ტრემლისა რომელიც ჩემის ფიქრით უნდა აფრქვა სხვს კელში... მშუდობით. გთხოვ მოამიტვეო ეს წეკნა და აღშეოთება, რომელსაც ზოგაყენე შენა არათუ ბოროტის განმარხულებით, არამედ სურვილით, რომ სიკეოე რამ შექმნა შენთვის.

რა ქალმა ნახა, რომ შალვა სრულებით სხვა ერთ და გუღით ელაზარაკება, შიშა გადიებარა გუღადამ მოიწმანდა თუალოგან ტრემლი და უთხრა: გმადლობ, შალვაჲ. მაგ კეთილის გრძინობისათვის. იცოდეთ ეს შენი სიკეოე ჩემს სიცოცხლეში დაუიწყარბი იქნება.

— ახლა, როდესაც სრულიად სხვა სახით და გუღით მიუერთებ მე. უთხრა მხურვალეებით შალვამ: მოდი სრულებით მომენდე: მითხარ ვინა ხარ. ვის მისდექ ან სადა; საიდან მოხუადო, ვაჟურად რათა ხარ ჩინებული, საიდუმლოება ხომ არა ჭივარამსრა შენს მოგზაურობას საშაშროკება ხომ არა მაგიძღვსრა წან? ერთის სიტყვით. დამარწმუნე, რომ ჩემი შავი ფიქრი, რომელიც მე მტანჯავს შენის ბედის გამო, ტყუილი არის, და მაშინ გა-

კალ აქედან დამშვებული, მაგრამ გულ მონუშტულია, რომ ვერა გასიამოვნება

—ოჰ, ამოიხსნა ქაღმა: ეოველი ეგე, რასაცა შეითხავ, ჩემოვსაც ბნელია. მაგრამ ვინ გამოამიუჭანს სინათლეში, ვინ მიიღებს ჩემში მანაწილეობას; ვინ ამიხსნის ამ საშინელს სიზმარს, რომელშიც ფხიზელი ვარ შთანქმეული!... მე თვთან ვერ გამიბედავს ჩავიხდო ჩემს გულში, დავეკითხო რა...

—მაშ ჩუმა წინათ გრძნობამ არ მომატეუა მე? შეჭყურა შელკამ: მითხარ, მითხარ ეოველი, რაც ამძამებს შენს გულსა. მე ვიჭნები შენი ფანარი—ეოველს ღატანსხეჭბ. ჩემში ჭპოვებ შენ უერ მოჭრიდს ემასა, ერთგულ ძმასა, რომელიც ეოველს ჟამს მსათ იქნება შეჭწწიროს შენთვის თავი. დაგინსნას თავის საკუთრის სისხლით ეოველის ბოროტისაგან!...ნუ უარ ჭყოფ ჩემს შეწყენას, ჩემს ერთგულებას —მერ უბედურებაში ვარ გამოცდილი. უბედურება ასწკელის ვაცის ბკვრს კარცსა, აფრთხილებს, შორს აჩუჭნებს საშაშროებს. მითხარ ეოველი შენი გარდასავალი. შენი სიემწვლე, შენი შთამომავლობა, რაცვი იცი და მოგატონდება.

დიდი ხანი იყო ქაღსა სწუეროდა ეოჭნა ვისთვისმე თავისი ნაღჭწლი; მაგრამ აქმდის ვერ ეპოვა კაცი, რომლისათვისცა ეოქო თავისი საიდუმლო, მხოლოდ შაღვას მხურვალე სატყუჭწმე, და იქნება უფრო დაფარულმა მისეჭწმა, რომელსაც არავის არ გამოუტყნადება, გაბედუნეს ერის აღძვრა.

—გუეუნება ჩემს აღსარებას, შაღვა, როგორათაც უფ-

როს ქმისა, და როგორც ქმისაგან მოგველი შენგან სს-  
სარგებლო დარიგებას.

შალვამ ამოიხსნა ქმობის სსენებასკდ. მას უნდა და-  
ვერუებისა უმეტესი გრძნობა, რომელიც ქმობის სიუქს-  
რულთან შორს იყო.

— მე ვარ, განაგრძელა ქალმა: სიერმით იმერეთში  
განდელი, რაჭაში, ერთის თავადის შვილის სსხლში, სს-  
დაც ყოველნი დიდით ზატარამდე. იუქსენ ჩემი ზატევის  
მცემელნი და აღმასრულებელნი ყოველის მცირედის ჩემის  
სურვილისა, მაგრამ ყოველი ესე იყო არა მშობლიური,  
თათქოს უნებური; ჩემს გულისკი ჰსწუროდა ტფილი  
გრძნობა სიუქარულისა, აღერსი მშობლისა, რომელითაც  
ჩემ გარდა, ყოველნი ჰსტკებოდნენ. მე ვტკრძნობდი  
ემაწვლობითვე, რომ არა ვითარი კავშირი ბუნებისა არ  
შემავრთებდა მე მათთან, მადლობის მეტი. რაღა თავი  
შეკაწინო, რა შევიქენ ცხრა წლისა, მე იმ სსხლიდგან  
გარდამიუჭანეს დედათ მონასტერში: იქაც მდმილეს დიდის  
სიხარულითა და ზატევისცემით, რომელიც არ შეტკერო-  
და ჩემს სიემაწვლესა. მომყოლეს წაგნისა და ლოცუბ-  
ბის სწავლას, და როგორც მანწმუნებდნენ, ჩქარაც გავი-  
მართე ორივეში; ყოველს დეკსაწავლებში მომიყვან-  
დნენ ხოლმე იმერეთის მმართებელის სსსსხლში, სადაც  
აგრეთვე შეუღლე მასი მომისომდა თავის გვერდით,  
გამომკითხამდა ყოველს დაწვლილებით და შექცეოდა დი-  
დის აღერსით, გიორგი მმართებელიც მეტად მოწყალედ  
ბძანდებოდა ჩემსკდ. ერთის სიტყვით, შექცეოდნენ კელ-  
შეწყობით, მიაღერსებდნენ ვითარც თავიანთ შვილსა და

თავის დროსეფ ისევე გამისტუმრებდნენ ხოლმე დედათ  
ზონასტერში — ამ გუარს ცხოვრებაში და ჩემს თავის  
უცნობობაში შემისრულდა თუქქსმეტი წელი — ამ ახლო  
ხან დროებში, გიორგი მმართველმა დამიბარა მონასტე-  
რიდგან და რა ვიხსელ. მიხმანა:

— შჯლო თამ.რ! მოვიდა დრო შენის გასტუმრებისა  
მშობლიურს ქუჩებასა. საქართველოს მეფის დას რუ-  
სუდანს დაუბარებინარ და უხსლებია კაცება შენს წასუყანად.  
იმედი გვექსებაო, რომ თუ რომ აქ ვისცანმე უნებურად წყესა  
მოკაგონდებო. იმას აქვე დაუტყუებ, და შენი ყმაწვლი  
გული შეინახამს ჩუწნდამი მხოლოდ თბილს ნათესაობი-  
თს საუჭარულსო — იგი მოვიდა და მკაცრად შეუღსედ და  
გარდამცა თავის მეუღლას. ახლა ეს მომიუჭა ბოდიშის  
მოთხოვნას და დარწმუნებას თავის საუჭარულში. — შე  
კვტომნობდი. რომ თქალები შემსებოდა ცრემლით და  
გული მიწროვდებოდა, რა ვიფიქრობდი, რომ ხეაღ  
უნდა გავმორდე უკველს, ვისთანაც საყრდით ვიყავ შეჩვე-  
ულა. და შეუდგე უცნობს გზასა, რომელიც არ ვიცნობდი  
ვისთან მიმიუჭანდა ანუ საიდგან იყო ჩემი მშობლიური  
ქუჩებასა საქართველო. მეორეს დღეს შომრთეს ვაყუ-  
რის ტანისმოსით, რომელშიაც შენ მხსე, დამარქუწს  
იმ დღიდგან სხელად ილია, და რა შემსვეს ბანახედ,  
შემამ.ყენეს ამ დაუსრულებელს გზასა. ამ ამაღის გარდა,  
რომელიც შენ ხსე, თან გამომატანეს ორნი მონუცე-  
ბულნი გამდელნი, რომელთაც ცხენსეფ ჯდომა ვერ შეს-  
ძლეს და ზირუწლს მგზავრობის დღესვე იგინი გზასეფ  
ყვით დაგვხდნეს და იქაც ახლოს სოფელში მიახარეს



მოსარჩენელად. მხოლოდ ესაა ვინც, რომ მე ამათ მივ-  
ყვარ ქალაქში რუსუდან დედოფლის ბძნებით, მაგრამ  
რისთვის ანუ რა მომელის მე იქა, არა ვიცი.

—საგვრესელი საქმე! სთქვა შალვაშ: როგორ იცნობ  
შენს მხლებლებს? რას ატეობ მათ ქვეყნი? არა გიციო-  
ხამსრა შენი ვინაობის ამბავი მათთვის, ანუ ეჭვ არა გა-  
ქვსრა მათზედ?

—ისინი შექცევინ კრძალვით და დიდის ჰატევის  
ცემითა. უთხრა თამარმა. თუმიცა მე სიტყვა გუგუარე  
გარსევანსა (ჭაღარა გაცი) იმ ჰაზრით. რომ შექცეო  
რამა ჩემის ბედისა, მაგრამ მან მიპასუხა. რომ სურათ-  
რისა ნუ შეფიქრებრა. რომ ვიქონია გუგუარე რავედნიმე  
მოთმინება, და მათომ მე მომელის ბრწყინება ბუდი.

—ეგ სიტყვებში არასა ნაშაპს კარგსა, სთქვა შალ-  
ვაშ: არ ვიცი რა ვიფიქრო შენზედ. რას გუგუარე, თა-  
მარ შენი საკუთარი გული? წინათ გრძნობა არასი გა-  
ქვს, ან ავისა ან კარგისა? ღმერთმავე ღდაცხსნას ამ გან-  
საცდელისაგან, რომელიც მე ფიქრად მომდას, მაგრამ თუ  
გრძნობ რასმეს გულში შიშსა, ანუ ეჭვ გაქვს რისამე,  
მათხარ დაუბრკოლებლავ; მომინმარე ყოველში, როგორც  
შენი... ძმა, რომელსაც შენის გამოხსნისათვის არა ვითარი  
დაბრკოლება არ შეაშინებს და არ შეაყენებს — გინდა  
გაგზარო აქედგან ამდამვე? ნუ დაფიქრებ, რაც ესაა  
შეიძლება მოვახდინოთ, ხუდალ უგუარე გვიან იქნება.

—მე ვერ გული ავს არას მეუბნება, უთხრა თამარმა:  
უნდა დაკუმორჩილო ჩემს ბედსა და მიგუგუარე ბოლომდინ;  
რაც ღმერთს უნდა, არ ამცდება.

—მაშ მისტუმრებ ეგრე უნუტკობდე? უთხრა შალვამ აძახებრით: არ მადლეე შემთხუტყულებას შემოგწინრო ხეში სიტოცხლე?—

—შენი სიტოცხლე სხუას მოუნდებო... უთხრა დომილით თამარმა: მართლა, დამავიწუდა მეკითხა: წელან ისე როგორ წაგართო ფერი აბგის დაკარგვამა? ხეში მგზავრები ჭიუჭირბდნენ, რომ იმაში ხმული ხილის მაგიერ სხუა საიდუმლო უნდა ყოფილყო შენახულიო.

—რა საიდუმლო?

—რა მოგახსენო. მე არ შემეყრის თქმა. მითომ საყუარლისაგან მოწერილი წერილები.

—ჭმინახრეტუნა შალვამ: მე გუშნდლამდინ არა მტოდნია რა არის ან საყუარული ან სიყუარული, და ნეტავი ამაზედ მეტად აღარ შევიტყო.

თამარმა იტუნეულად გაიღიმა.

—არა გჯერა? უთხრა შალვამ: აი აქა მაქუს ის საყუარლისაგან მოწერილი წიგნები, რომლებს დაკარგვამაც ისე შემამინა, რომ იძულებული მეო შენგან მოშორებად.— დმერთმა უშეელოს დართის კარის მუდუქნეს: იმას აელო ხეში აბგა და შენახა. მაგრამ მანამდისინ ორიოდ დრახმა (\*) არ გაჩექე, მანამ არ დამანება.—თუ გნებავს, ერთათ წავიკითხოთ და გნახოთ, ვინ არის ხემაჯს გაგოეუბული და ვითარის აღგზნებულის ლექსებით მიცხადებს სიყუარულსა.

—მე რა ნება მაქუს შეეხო შენს საიდუმლოსა, უთ-

---

(\*) კერტხლის ფული ექუს შაურინი.

ხრ ათმარმა იმისთანა ხმით, რომელიც აცხადებდა, რომ მეტად სასიამოვნო იქმნებოდა მისთვის ამ წიგნების ჩუბნება.

—მართალია, უთხრა შალვამ; მე აბგაში მიდექს რკუული; მაგრამ ის მანობებს მხოლოდ ისტორიას ჩემის შთამომავლობისას. აქედან შენც შეიტყობ, რომ მარტო შენ არა ყოფილხარ სიურმითვე უცხოს სახლში გაზდილი და მარტო შენ არა გკლებია მშობლის ტუბილი ალერსი. სჩანს, განგებამ შეგკახუჭდრა ჩუბნ დღეს ერთად, რომ ავხსნათ და გარდავსწუტოთ ჩუბნის საიდუმლო ბედი.—მეც სხვს კარსა ვარ შენსავით გაზდილი... მაგრამ ჩემი ისტორია—ყველას ისტორიას არ ემსგავსება. ვისაც გაუგონებ, იმას ჩემი სიცოცხლის და სიკუდილის გასაღებს კელში ვაძლევ. მე უნდა დარწმუნებული ვიყო, რომ მომხმენი არ გამცემს,

—მე შეშინანს სიტყუა დავიკვირო, რადგანაც აქ შემოსვლითაც მომატყუე; თუ რკუულს წამიკითხამ, მაშინ შემიძლიან მოგცე სიტყუა, რომ შენი საიდუმლო ჩამუჭება საფლავში. მაგრამ თუ სამძიმოდ მიგანხია გამოცხადება, ანუ ეჭვ გაქუს, რომ საიდუმლოც მე ვერ შევინახამ, ნუ წამიკითხამ.

—არა, მე არ გათქმევინებ, რომ მე უფრო დაფარულის ხასიათისა ვარ, ვიდრე თქუბნ, უთხრა შალვამ: მინდა იცოდუ, რადენად მიუჭარხარ, რომ ჩემს სასიკუდილო საიდუმლოც თქუბნ გატეობინებთ. ადქით, მოუმატოთ ბუხარსა ცეცხლი და წავიკითხეთ.

თამარმა მსწრაფლად გადიცო ახალუნსედ ქულაჟა და

კაბა და მიუჯდა ბუხართან შაღვას, ამანაც მოიხსნა წელიდგან ქამრით შეკრული აბკა, იქიდგანაც ამოიღო კელვანოცში შეკრული რვეული. რომელსაც ჭჭარედნივ ჭქონდა უაითანი გადავლებული და წეჭრები მისი იყო შეუსედი დაბუჭდილი წმინდა სამთლითა.—მან გარდაღლიჯა ბეჭედი და რვეულის თავსედი ეწერა:

«თავადი ელისბარ ე,, შულის აბბავი, ნათქვამი იმისი უმის ერთგულადისგან სიკუდილის ყამსა.—როგორც ღმერთია მართალი, ისე ეს აბბავი.»

—ეც ერთგულადი ვინ გახლავსთ? ჭკითხა ქალმა.

—ეს გახლდათ ქმარი იმ დედაკაცისა, რომლის ძუძუ-მაც მე გამზარდა, ესე იგი მამა ჩემის მსახურის ივანესი.

—ახლა შეგიძლიან წაიკითხოთ, მე სრულებით მოკუ-მზადე მოსასმენელად. მაგრამ მაგ რწმუნის სიდიდე გვეუბნება, რომ უნდა დავეჩქაროთ, თორემ ნახევარი დაგვრჩება წაუკითხავი.

—ვისაც შენისთანა მსმენელი გპირდით უჯდება, განა დაეჩქარება?... მაშინ. სრულებით ცარიელი ვიქნები...

—ხომ არა ფიქრობთ, რომ ერთგულადის სახელში კისრეღვართ, და ხუთდინდედი დღეც ჩუწნ გვეუთუნის? უთხრა ქალმა.

—ოჰ, ეც რა მძიმე სიტუება მითხარ! ნუ თუ დღის სინათლემ უნდა გუჩუწნოს ყამი გაყრისა და ისეც დაგვა-უცხოვოს? მაგ ჰირობით მე ენასაც არ გაუძრამ.

—განკავშორებს, მაგრამ—გვინებ არ დაგვაუცხოვოს სრულებით, უთხრა ქალმა.—

—გნახათ, სთქვა შაღვამ აღმოხუროთ და დაიწყო.

« ჩემი ბატონი თავადი ელისბარ ე... შჯლი იქნებოდა  
ოცდა ათის წლისა, როდესაც მის მეუღლეს ეყოლა პირ-  
უბნელი ვაჟი შჯლი საკვლად შალვა, მონათლული ამირსპა-  
სალარისაგან საქარია მხარგრძელისაგან. — იმ უამად ელის-  
ბარი არა ბძანდებოდა თავის სახლში, იგი იყო გაგზავ-  
ნილი განსვენებულს თამარ დედოფლისაგან სპარსეთში  
და როდესაც იქიდგან დაბრუნდა, ცოლი მისი უკუტე შავ  
მიწას ებარა და ექქისის თთუტს ვაჟი შალვა ძიძასა, ესე  
იგი ჩემს ცოლს მარინესა. — ბატონი ელისბარ მწუხარე-  
ობდა ცოლის დაკარგვასკად, და ამ მწუხარების გასარ-  
თობლად დედოფალმა გაგზავნა იგი წლის თავსკად კახეთ-  
ში ჯარის შესაკრებად, რომელიც იგზავნებოდა ხორასან-  
ში. — კახეთში, სოფელს კელის ციხეში, ბატონმა ნახა  
ერთი მშუტნიერი ემაწული ქვრივი არხურშჯლის ქალი  
თავადის შჯლის ნაცოლარი, სახელად ელისაბედ. ბატონი  
დატუტეკდა იმის სილამაზითა და მამინკე ღაინი შნა.  
მე ჩემის ცოლით და ძმით გარდაგვასახლა ბატონმა კე-  
ლის ციხეში, რათამცა ბატონი შალვა აღზრდილ იყო  
ელისაბედის თვალის წინა. — რა შეკრიბა სამარა ჯარი,  
ბატონი ჩამობძანდა კახეთიდგან ქალაქში, საიდგანაც  
დედოფალმა გაგზავნა ხორასანსა; ხოლო ბატონმა მე  
თან არ მიანლა. იქ დატყუო მან ექქეს თუტუდე. — რა  
იქიდგანაც მშჯდობით მობძანდა, მე იმ უამად ვიყავ  
ტფილისში, ბატონმა მკითხა მშჯდობიანობის არხავი  
შჯლისა და დანიშნულისა თვისისა. მე დაუყოყმნდი; მან  
განკურტუტბით შემომხედა და კუტლად განიყო რა კითხუა. —  
მე მტკიცედ უბასუხე მშჯდობიანობა მათი, ხოლო პირ-

ჩუქლი დაყოყმობის მიზეზი ეს იყო, რომ თამარ დედოფლის შვილის ღამა გიორგისათვის ვიღასაც ჩაკვანებისა განკვრულებითი ვშუქნიერება ჩემის ბატონის დანიშნულისა და ერთის თთვს წინად, ვიდრე ბატონი მობძანდებოდა სოცასნიდგან, ღამა გიორგი კახეთში ბძანებულყოველის ცხეს და ბატონის სიმამრისას ჩამომხდარიყო. — ეს ცნობა მქონდა ჩემის ცოლის წიგნითა და დიდად მაწუხებდა. — შესამჯეს დღეს შემდეგ სოცასნიდგან მოსვლისა, ბატონი ელისბარი წაბძანდა კახეთში და მეც თან ვიახელ; ვულის ცხესში შეკვლით ჩუქნ ბინდისას და ბატონმა ინება ჩამოხტომა ჩემს სახლში, და დიდად გახარებულ იყო, რა ნახა თავის შვილი შალვა ფეხსეღ მოარული და ცოტად მოტიტინეცა. — ბატონმა მე მაშინვე გამგზავნა მოყურებისას მოსაკითხვად და შესატყობრად ამალამ ინახუნებენ მას თუ არა. — რა მიველ ბატონის სასიამოროსას, ვნახე რომ სამსარეულაში დიდ მზადებაში იყვნენ ვახშმისათვის. ხოლო რა დანიშნულის მამამ მნახა და შეიტყო ჩემი ბატონის მობძანება, დაფიქრანდა და მიბძანა: აქ მომიცადე, ესლავ მოვალა. — იგი ჩავიდა ვენახში, სადაც ერთს ხეივანში კაშკაში გაუდიოდა სინათლესა. ერთს წამსეღ იგი უკანვე დაბრუნდა და მიბძანა: «ბატონს მიულოცე ჩუქნს მაგიერად მშვიდობით მობძანება და მოახსენე, რომ ელისბედი შეუძლოთ არის და დღეს ვერ ინახუნებს; ხუალკი რა დროსაც უნდოდეს, მობძანდეს — მე დაუკარ თავი და გამოკობრუნდი, მაგრამ სისხლიკი შემღურეოდა მათსედ. და რა მოველ შინ, მოგახსენე ბატონს ყოველი, და არ დაუმალე ისიც, რომ

ბატონის მობძანება ველის ციხეში იმის მოყვრებს არა-  
ფრად ეჭაშნიკათ. ბატონმა შემომხედა საშინელის თვა-  
ლებით და მკაცრად მიბძანა; არც გულში ეჭვ გაქუს, ყოველი  
მითხარო; ქალაქშიაც შეგემცნიე, რომ რაღასაც მიმალამ-  
დიო.— მაშინ მე მოყვასხე, რომ თამარ დედოფლის შვილი  
ლაშა გიორგი იმის მოყვარებისას ბძანდება ჩამომხდარი  
და ვგონებ ამიტომ უფრო არ უამათ თქვენნი ამ დროს  
ეჭ მობძანება. »—

ამ თქმასვე ბატონი ცეცხლივით აერთო და შემოიკრა  
შუბლში კელი. «ოჲ, უბედურო ჩემო თავო! ჰსთქჳ მან,  
და იყო ისე კარგა ხანს ჩათვიქრებული. შემდეგ, თითქოს  
რადაც მოაგონდაო, მიუბრუნდა ჩემს დედაკაცს და უბ-  
ძანა— შალვა ეჭ მოამკვარეო.— მარინემ კანკალით მძინა-  
რე ემაწვლი აკვნით მოართო ბატონსა. მან ახად პირსა  
და აკოცა. და დიდხანს უმსურდა იგი დაშტკრებით ბავ-  
შეს ტუჩების ცმაცუნსა ძილში. დასასრულ, რა კიდევ  
აკოცა. ბატონმა ამოიხსნა და გზბძანა: თქვენსხედა ერთ-  
გულნი მე არაგინ არა მყავსო; ამას გვარიც გიმტკიცებ-  
სთო; ვინიცობა არის, მე ამაღამ აღარ დავბრუნდე. ეს  
ემაწვლი ხელს გუთოქნებლივე გავპარეთ და ახალციხეს  
აიუქანეთო;— ეჭ იეთხანთ ჩემად ეფორემ მღჳდელსა და  
მიტკჳრეთ ამ ზატარას ბართითო, რომელიც მაშინვე  
დაგვიწერა ბატონმა და მოგვცა. მან ხურჯინიღვან ამო-  
მალუბინა ზატარა ყუთი; ეს სამსე არის დრატკანითო (\*)  
მეორე ყუთშიც მრავალი დრახმა და ძვრფასი თულები

(\*) იმ დროს ოქროს ფული.)

მაქქოს; თქუნი წიგნი და ამ ემაწვლას შუენსეთ  
ვიდრე გაიზღებო, და რაც მე დღეს შემიბანეს ამას  
ნუ აცნობებთ, მანამ რცადა ორის წლისა არ შექმნასა;  
ერთის სიტყვით თქუნი წიგნის ერთგულებისა და განიერებისა  
სათუხ მომანდა; ამ იფულის მოხმარებაც და ამ ემაწვლის  
განდაცა. შემდეგ შემოიკრა ხმალი და სხუა იარაღი  
და წაბრძანდა; მეც დამიშალა თან არ გაუოლავიკავ. — ყო-  
ველთუხ კეთილი და აღერისიანი, იმ უმად საშინელი იყო  
ბატონის შეხედულობა: იგი იყო გაყუთლებული; ტუჩების ფე-  
რი განაგრებოდა; თულებიდან აფრქვევდა ცეცხლსა; კე-  
ლები და თითქმის სრული სხეული უკანგალებდა, თით-  
ქოს ციებისაგან; ყოველი მოძრაობა მისი იყო ჩქარი,  
თითქოს ვმინოდა, რომ არავინ განზნებოდა იქიდან,  
სადაც ახირებდა წასვლასა. — ჩემი დედაკაცი მარინე იწი-  
ბლებოდა. მეც მოუხუწნებელს მდგომარეობაში ვიყუ-  
ვარამ ბატონის შიშით ხმა ვერ ამოვიღო. როდესაც  
იგი გაბძანდა, მე და მარინე ერთმანეთს შეხედეთ და  
თითქმის ამ შეხედულებით გამოვაცხადეთ ყოველი, რაც  
გულში გვქონდა. მე მასხეუ შევარდი თაკლამი, შევქმ-  
ნე ერთს წუთზე ბატონისა და ჩემი ცხესები; შემდეგ  
შემოვარდი შინა, ჩავარტე ორორი დამახა წელში, შე-  
მოვიკარ ხმალი, ხანჯალი, გარდვიცუ ბატონის ძუჭლი  
კაბა და გავქანე იმის მოყურებისაკენ. — მარინე უყურებ-  
ბდა ამ ჩემს მუქარებითს მომზადებისა, მაგრამ არ მიშ-  
ლიდა: იგი გრძობდა, რომ ყოველმა ერთგულმა ემამ  
ბატონს უნდა შექსწიროს თავი. — გამოსვლის დროს მე  
უთხარ ჩემს ცოლსა: თუ მეც ვერ დავბრუნდე, მან გაი-



მძღუაროს ჩემი ძმა და მივიდეს ახალციხეს ბატონისაგან დანიშნულს მღწედელთან; გაუფრთხილდეს იგი ბატონის შუღს შალვას ისე, როგორც თავის ორივე თვალის სინათლესა. ამასთანავე დავარბე ჩემი დედაგატი, რომ, თუ დაჭირებამ მოითხოვოს, შალვას ტანისამოსი ჩააცოს, ჩუჭნის პატარა შუღს ივანესა, რომელიც იმედნავე იქნებოდა, და ივანესი — შალვას, აგრეთვე შეუტკალოს მათ აჭუნები, და უმეტესი მზრუნველობა და აღუწისი შიამყნას ივანესა, რათამცა ამით აება მტრისთვის თვალები და ეჩუჭნებინა ივანე შალვად და შალვა ივანედ: ერთის სიტყვით, მივეცი ასეთი დარიგება ჩემს ცოლსა, რომ დაჭირების დროს უნდა ივანეს სიტყვებზე შეჴწინა მსხუჭრებლად შალვას დასახსნელად. — თითქოს დასაჩუქრებულად, რომ ყოველს ნათქვამს აღასრულებს, ჩემს ცოლმა მამინებ წამოაგლო მაკრატელს კელი და მშუჭნიერი ხუჭუჭი თმა შალვასი შეიქმნა მსხუჭრებლად იმის ერთგულებისა. — ეს სიფრთხილე ამიტომ მოიხმარა იმან, რომ შალვასთანა თმა გულების კაცის შუღს იმუთად ექმნებოდა. —

რა ეს დარიგება მივეცი ჩემს ცოლსა, მე გავექანე ბატონის მოუჭრების სახლისაკენ, და რა მიველ ბადის კარებთან, ვნახე რომ შიგნით ბატონი ამაყად ელაპარაკებოდა თავის დანიშნულის მამასა და ერთს ვიღასაცა, რომელნიც ცდილობდნენ არ გაეშოთ ბატონი ბადისაკენ, სადაც სშირი ფანრები ანათებდნენ სეივანსა. მაგრამ ბატონმა არ დაიშალა და ძალის ძალად ბადში ჩაიარა. მას გაჭყუა თან დანიშნულის მამა; ხოლო მეორე კაცმა

კი მოუხმო მსახურებსა და უბძანა ჩუმად, რომ ოთხი-  
დე კელ ღონიერნი მსახურნი ღაშა გიორგის ამაღიდაც  
ჩაიუყუნას კენახში და ღროებით იქვე კაკლები ქუჩქს მო-  
სოს. — ამ ბძანებისამცემი იყო ივანე არღუთაშვილი, მხარგ-  
ძელი, უნცროსი ძმა ზაქარია სძასალარისა, სულითადი მე-  
გობარი ბატონის შჯლის ღაშა გიორგისა, იმისი დამრიგე-  
ბელი და ყოვლის საქმის მრჩეველი. — ამ იგანემატ შემ-  
დეგ მიაქცია ნაბიჯი სეივისიკენ. — მე ვიყუ უჩინავი მო-  
წამე იმისა, რაჲც იქ მოხდა. იმ ყამამად ღაშა გიორგი  
და ბატონის დანიშნული ელისაბედი ნარდს შეეკტეოდენ. —  
გიორგი გადასწუდა და მოგლიჯა ერთი გაშლილი კარდი  
და უთხრა ელისაბედს:

— მე აქამდინ დარწმუნებული ვიყავ, რომ ბუნება უმე  
ტესი კელოსანი არის კაცხედა, მაგრამ ეხლა შენმა ნახ-  
კამ შემიცუტა ეს ფიქრი.

— ვერ მივხვდი, ბატონის შჯლო, თქუჩნის სიტყუჭ-  
ბის ჭაზრსა, მოახსენა ელისაბედი: თუ რომ ფარული  
აზრი აზა იმალეს: რა თქუჩნს სიტყუჭბში, კკონებ თქუჭ-  
ნი შირუჭლი ფიქრი მართალი უნდა იყოს მეორესედ: არც  
ერთი ყვაელი არ ისაჭიროებს თავის გასამშუჭნიერებ-  
ლად კაცის შემწეობასა.

— მე სრულებით არა მჯერა, რომ ამ კარდს თქუჭნ-  
გან არა ჭქონდეს მიღებული ფერიც და სურსნელებაც,  
უთხრა დამილთ გიორგიმ. — ამედა ატლასივით გაწით-  
ლდი. ნუ თუ ოდესმე კარდს დაელება მაგ კვარა ფერი?

— თქუჭნი სატყუჭბი ვის არ გააწითლებს, მოახსენა  
ქალმა; მაგრამ ეს სიწითლე ჩქარა შეეცუტა ელისაბედს

სიუხულედ. მან დაინახა მიმავალი მათკენ ბატონი ელის-  
ბარი. — ქალს კამათლები კელში გაუცვიდა გიორგიმ შუბ-  
ლი შეიჭმუნა. —

— ბატონის შუღს ვახლავარ! მოახსენა ელისბარმა,  
რომელმაც ატრეთვე მძიმედ თავი დაუკრა ელისაბედსა,  
რა იმასთან მივიდა.

— მშადობა შენი ნახუა, ჩემო ელისბარ! რა ანბავს იტყუ  
ხორასნიდგან და მერე ჩუწნის ქალაქიდგან? ჰკითხა გიორგიმ.

— ბეგრს კარგსა მოახსენა ელისბარმა: დედის თქუწ-  
ნის ძლევა შემოსიღმა და შქარმა აახრია სპარსეთი და  
დაუმონავა მას შაქი შირვანის ხანები, ხორასნის და  
გილანის ფაშები.

— გმადლობ ჩემის მხრითაც და დედის ჩემის მაგიე-  
რათაც მაც ერთგულის სამსახურისათჳს და სსსამოვნო  
ცნობისათჳს, უთხრა გიორგიმ.

— მე უკუწ მივიღე ღირსი ჟილდო დედოფლისაგან,  
მოახსენა ელისბარმა, რა კუალად თავი დაუკრა მას.

— ეკ უფრო ახარებს ჩემს გულსა, რომ დედა ჩემმა  
იცის ღირსეულად დაფასება ერთგულებისა, უთხრა გი-  
ორგიმ: სუა რაღა იცი ახალი ჩუწნის ქალაქიდგან?  
ერთი თთუწა უოკელ დღე კაპირებ წასვლას და თითო  
მიზეზი არ დაშეღია.

— გაუბეღამ მოგახსენო ბატონის შუღო, რომ დედო-  
ფალსაც უკვრს თქუწნი ესრედ დაგჯანება: ჩინგის უანი  
აპირებს საქართუწლორედ დაცემასაო. დედოფალს ჰგონია,  
რომ თქუწნ უკუწ შეგდგობიათ და შქარი იმის მსურხის  
მისაცემად და სრულგობით არა ჰგონებს იგი, რომ თქუწნ

დრო გქონდესთ ნადიმობისა და ნარდის შექცევისა. —  
გიორგიმ წარბები შეიკრა.

— მაგას დედოფლის დაბარებით მიბძახებ, თუ თქვენს  
თავად ღირს შეოფთ მაგ ეწვედრებისას? უთხრა მან რა  
შესება ელიზბარს მრისხანებით.

— ერთგულება კალად მღებს ცაგბედა ყოველი  
მართალი.

ელიზბედი წამოდგა და ავირება წასვლას; მაგრამ  
ელიზბარი გადუღა ცხასვად.

— სად მაეშურებით, უთხრა მან ჩემათ: ბიჭმა ანბავი  
მომიტანა თქვენის შეუძლოთ მეოფობისა და დაკეშუ-  
რე თქვენს ნახებს; მაგრამ სიამოვნებით ვხედამ, რომ  
მკურნალი უკვე აქა გეოლიათ,

ბატონის შვილი წამოდგა; იგი ივანე არღუთაშვილმა  
გაიყენა გვერდზე და დაუწყო რაღაც ჩურჩული.

— ჯერ თქვენ ნება არა გაქვსთ მაგ გვარის ევედრები-  
სა, უთხრა ელიზბარს წყენის ხმით ელიზბედმა და გარ-  
დუქცია ცხა შინისაკენ წასასვლელად

— ნება არა მაქვს? შექვერს გულწრფელობით ელიზბა-  
რმა, რა კუალად გარდუღობა მას ცხა: მაშ ვისა აქვენ  
ნება? ვის ბეჭედს ატარებ გელზე? რის ნიშანია ება?  
ვისი სახელი უნდა დაირქოს? შემდეგ ვის უნდა ეკუთვნო-  
დეს?.. ხუ თუ ეთამაშები ეგრე ადჯლად ჩემს პატროსნე-  
ბას და შენს ნამუსს? —

— ელიზბარ! უთხრა ივანე არღუთაშვილმა, რომელმაც  
ეური მოჭკრა ამათ ღაზარაკს: ჯერ ელიზბედი თავისუ-  
ფალია და სრულებით უჭუჭუოდ ატარებს თავის განსვე

ნებულის ქმრის სახელსა, ამისათვის შენი ლექსები და უკედრება მეტად უაღაგონი არიან. მაგითი შენ ბატონის შულს გიორგის ვირ და ვირ ცხვრში ჰსცემ, და ელისაბედის მამის მასწინძლობას უქმად ატარებ.

ბატონის შულმა მიიწია ელისაბარისაკენ.

— რა ნახე შესაქიცხავი მე და ელისაბედის ნარდის თამაშობაში, რომ შენ კერე გული აკემღურა და გესლით გგებენა კნა? უთხრა მას ლაშა გიორგიმ: ნუ თუ თამარ დედოფლის შულსა, საქართუჭლღოს ტანტის შემკვდრესა, უნდა ეუჭნდრებოდეს სტუმრად მისკულა თავის ერთგულ ქუჭსურდომთანა? —

— ბატონის შულა! მოახსენა ელისაბარმა: ყოველი თავადის შული მიითვლის უღირს ბედნიერებად თქუჭნს სტუმრებას; მაგრამ ამ სტუმრობით არ უნდა შეარყიოთ ბედნიერება ოჯახისა და შეჭნცხოთ ლაქა მათ შატოოს.

— როგორ? განა მე ჭუჭყიანა ვარ? განა ჩემი მისკულა სადმე შატოოსხებას ართმევს კაცსა? ჭუჭროდა განცოფებული ლაშა გიორგი.

— თქუჭნ არა, ბატონის შულა, მაგრამ ვისაც დასდეკთ, ვისაც სიტყუის ისმენთ, ის არ არის კეთილის მრჩევეელი; თქუჭნ არ იცნობთ საკმაოდ ივანე არღუთაშულსა; მაგას სხვს ჭირი თავის ღხინად მიახნია. — რადენ ღირსებაც მაგის უფროს ძმას წაქარია სპასალარსა აქუჩს, კოდენივე სიმდაბლე მაგაში იპოვება; იგი თავის ავის ენით გაშორებს თქუჭნს ერთგულთ ემათა, რათამცა თვითონ ძმის შემდეგ გაურჯელად დაიჭიროს უპირუჭლესი ალაგი თქუჭნს კეთილს გულში.

—ეგ ყოველი ღირსება ჩემი კარგად მოეხსენება ბატონის შჯლსა, ჭსოჭჭა ივანემ დაცინვით- მაგრამ ესრეთი ემაწვლი არაობანდება, რომ არ მივიხმედეს მიხეხისა, რაღაც გაღაპარაკებს ეგრე ჩემს სასარკებლოდ.

—ეგ ჰატოხსენება რომ ჩუჭნ წინ წამოგვკორე. უთხრა ბატონის შჯლმა კლიხბარს, შენ შენთჳს რატომ აღარ შეინახე მცირედი? ხომ იცოდა, რომ მე აქ ვიუყე; უარცხ ხომ შემოგითქალეს, რომ შეუძლობლობისაგამო ელისაბედი გერგინახუნებსო, რიღას ნამუსით აიღე თავი და მოგვადგეო აქა?—

—შე გახველ დასაცუჭლად ჩემის ნამუსისა, მოახსენა მტკიცედ ელისბარმა: ელისაბედის აჯათყოფობა მე მდებს მის მოვლის ვალსა და არა სხუასა. მე ჩემის სახლიდგან ვერავინ დამითხოვს. კარგათ მოგუხსენებათ თქუჭნცა და სხუათაც, რომ დიდი ხანია დანიშნული ვარ ელისაბედზედ; იგი ეხლა ატარებს ჩემს ნიშანსა; და შემდეგ უნდა ჩემი სახელიც ატაროს...

—ა, გუშინიან არ დაგეკარგოს ნიშნის ბუჭედი!.. მიუგდე. ელისაბედ, თავის ბუჭედი!.. აჭა ესეც შეტი! შეჭყურა ბატონის შჯლმა, რა გამომძრო თავის თითიდგან ძვრფასი ზურმუხტის ბუჭედი და მიაჩრუა ელისბარს გულში.—ბუჭედი წკრიალით გაგორდა ივანე არღუთაშჯლის ფეხებისაკენ.—ივანე დასწვდა, აიღო ბუჭედი და როცა აწოდებდა მას ელისბარს უთხრა ღიმილით:

—გამომართჳ, ნუ გრცხუჭნინან; ბატონის შჯლი გიორგი მეტად კეთილის გულისა არის, რომ იმეტებს ამისთანა ბუჭედს. გაეტალე, კარგი; ხომ ხედამ ელისა-

ბუღმაც სიმაბრთლით გადაგყენა თავის ქრმობიდან...

შენისთანა გულ ფიცხს იგი ვერ შეიფერებს... ასღას ხუჯუდ დანიშნუ ამ ბეჭედით; ჩუქნ კენდობით შენს ამოჩხეულსა.

ელიზბარმა ამოჭკრა კელი ივანეს კელსა და ბეჭედი შორს გარდაგდებინა.

— გველო, გველო! შეჭყურა ელიზბარმა: კიდევ ჩაიფრ ზღლის ტყავი! მე კარგად ვიცაქს ყოველი შენა საქმეა; შენ გამოანადირებდი აქეთკენ ბატონის შჯლსა და მითომ შეცრად....

— მართალია, უთხრა ივანემ ღიმილით: ჩუქნ მელას გნადირობდით, და მშუქლი შეეფეთა ბატონის შჯლსა. ნადირსაც მონადირე მოეწონა. —

ელიზბარმა იტაცა ხმაღს კელი, მაგრამ ისევ თავი შეიკავშირა. — იგი მიუბრუნდა კუთვლად ბატონის შჯლსა

— დედის თქუქნის მხეს, ბატონის შჯლო, მაკმარე ეს ტანჯუბ და სარცხული.. ნუ გამხდით ამ ბოროტის კაცის გულისას... ნუ ინებებთ ჩემს წახდენას და ამ რუახის შერცხუნას... გარდგინდი ამის სიკეთეს: თითო წუქთით დავუვრი ჩემს სიცოცხლესა თქუქნს სამისხურში...

ბატონის შჯლი ირყოდა. დიდ სულოკნების გრძობამ უკვე გადასძლია მის გულის გარყენილებასა; მაგრამ ივანე გარდებობა.

— განა ამ დროსაც მოკესწარი, ჭსოქუბ ივანემ, რომ თამარ დედოფლის შჯლსა, საქართუქლოს ტახტის მემკვდრესა, სახლიდგან ითხოვდენ და თავლბში უნიშნამდნენ

ადგილსა დასაწოლად!

ელისაბედი და თავის მამა გაბრუნდნენ შინისაკენ.

— მართლა, შენ ჩემის მოთმინებით მეტად სარგებლობ, ელიზბარ! შეჭურა ბატონის შუღმა: ციხისკენ გადი, გაგვეცალე აქედგანა! — მე შირქულად მოვსუფიარე აქ სტუმრად, და ვიდრე მე აქ ვარ, სხუას არავის შეუძლავან აქაურობის აღმოფოთება.

— ბატონის შუღო, მე აქედგან გამსვლელი არავარ: თქუნიც აქ ბძანდებოდეთ და მეც; ერთად ვიღზინათ. —

— ეე, შენმა ახირებამ და სიბრიყვამ მე მოთმინება გამომიღიეს! ჭსოქუა ბატონის შუღმა: უბძანე, ივანე. აქედგან გაივანონს!... მანამ მე აქ ვარ, ეს სახლი ჩემია.

— გაიყვანონს! წარმოსთქუა ელიზბარმა ცხგრძელებით და დაიდო ხმაღსედ კელი. თუ ტასკლა არის, მაშ ყველანი ერთად უნდა გავიდეთ აქედგანა.

— აა! ემუქარები ბატონის შუღსა? შეჭურა სინარულით ივანემ: მე მივარს ან ამოდენი ხანი როგორ მოგიოთმინა, ბიჭებო. აქ მოდიოთ! გამოვიდნენ ოთხნი დაიარაღებულნი ბიჭები, რომელნიც აქამდინ კაკალ ქუნიშ ჭყვანდათ დამალულნი.

— ჭსტაცეთ ამას კელი და გაიყვანეთ ბაღიდგან, უბძანა ივანემ: მეტე კარები დაუგეტეთ, დაე იქიდგან იღრიონოს, მანამ კბილები არ შემოაცქედეს!

ელიზბარი გაყვთლდა და შესკდა ივანეს ასეთის თვალებითა, რომ თითქოს უნდოდა იმის იქვე გაქრობა: ერთი ფეხიც კარდასდგა იმისაკენ; მაგრამ ისევ თავი შეიმაგრდა და უთხრა: შენმა სუღამ წდოს, თუ აქ ქრის-



ტონის სისხლი დაიღწაროს. ამა სიტუატიონით მან მიატანა ერთს დიდს ხესა და რა წელი მიაუერდნა მას, ამოიღო ხმალი.

ბიჭები შეფერხდნენ.

— ეის წინ იღებს ხმალსა, ეგ სამაგელი! შეჭურა ბატონის შულმა გიორგიმ გაანჩნლებულმა და მიიტრა ელისბართან. ჩაატე ხმალი, მამა ჩემი დაკით სოსლანო არ წამიწედება, თორემ ლუგმა ლუგმა ატყისამ! და მან წაავლო საყულოში კელი. და უხდოდა მოეშორებინა იგი ხიდგან. —

— ბატონის შულო, მომშორდი იქით! სისხლი მიჩუხჩუხებს!.. მოახსენა ყრუის ხმით ელისბარმა, და ძლიერის კელით ჰსტაცა ღაშა გიორგის მაჯაში და კელი მოაშორებინა საყულოდგან.

ივანე მივარდა და ჩაუდგა მათ შუაში.

— რას შტრები, ბატონის შულო! მოახსენა მან: რა თქუტნი საქმია ამ მხეტთან ჭიდაობა მადლობა ღმერთსა, ამის მოსარეუად საკმაო კატები გახლავან. მოდით ახლოს, ბიჭებო, და შეჭკარით! —

ელისბარმა აღწია ხმალი და უხდოდა, რომ მისთვის სამუდამოდ ბოროტი ენა ჩაეწეუტტინებინა, — მაგრამ ისეკ ძირს დაუშუა. მას არ უხდოდა გაესვარა გესლანს სისხლში ის ხმალი, რომელიც ესრედ ხშირად ამოღებულა ქარქაშიდგან შტრის შესამუსვრელად და მამულის დასაცუტლად. მხოლოდ ელისბარმა ჰჭრა ძლიერად კელი ივანესა და შეახეთქა ბატონის შულსა, რათამცა ჰჭონოდა მას მოსაკრებელი ადგილი, თუ რომ უეცრად

ბიჭები მიხსცვიყენუელიყენ.

— ჭხედამ მაგ მხეცსა! შეჭყურა ბატონის შულმა, და კუჲლად მივარდა იგი ელისბარს და ჩამოგლიჯა გულის ბირი.

— ბატონის შულა, მომერიდე, სისხლი ეელში მომა-  
წუა ..

— დაგცლი მაგ ცუდის სისხლიდგან! დაიძანა ბატონის შულმა და მოისმა ღაწანი.

— ოჲ, მე მაგას გერიდებოდი და გიდეკ არ ამცდა! ჭსოქუა ელისბარმა: დმერთმა ამისთანა სიცოცხლეც შეარცხნოს, მან უკუტ გაშალა მკლავი; მაგრამ ამ დროს მივარდა მას ივანე, და ბატონის შულისათუხ დანიშნული სილა გუეთსლიშა ივანეს ღაყაზედ. — იგი დაბარბაცდა; ბატონის შულმა ვერ მოითმინა. იგი კუჲლად მიჭსწუდა ელისბარს თმაში; ამან ძლიერად ჭკრა კელი; ბატონის შული დაეტკა ხესა, და ერთი გამხმარი ტოტი ამისი ეძკერა შას თუჲლში —

— ეაჲ მე თუჲლი! შეჭყურა მან; თვალთი გამომთხარა მაგ ღუთის მტერმა! —

ამ დროს მისცვიკდენ ელისბარს ბიჭები. — არა ჭსჩანდა ბნელაში მათი ბღლაძუნობა. მხოლოდ ისმოდა ელისბარის ხმა: ეს შენა! ესეც შენ გუეთა! .. აგრეთვე ისმოდა დაჭრილების ამოსკუენა, ღანძლუა მათი და სჭურავის ჩახახუნი! ..

— ნუ მოჭკლამთ; თუ დმერთი გწამსთ, ნუ მოჭკლამთ! უჯროდა გაცოთუბუღი ბატონის შული გიორგი. რომელ-  
მაც ერთს ბიჭს კელიდგან გამოგლიჯა ხმალი, ჩემის კე-

ღით უნდა დაიხეოს ეგა!... გამიშვი, ივანე გამიშე! და ბატონის შული ცდილობდა განთავისუფლებულიყო ივანესაგან —

— არ შეიძლება, ბატონის შულო! ეუბნებოდა ივანე: შენ შეეე ხარ საქართველოსი. შენი კელი არ უნდა გაისვაროს ამ სამაგელის სისხლში: შენი ხმალი მხოლოდ შტრის მოსაგერებლად უნდა დაიძრას ქარქაშიდგან! — განა მე კერ მოკვლამ, მაგრამ ეგ ჟალაოების კერძია, თავის ბედის წერას აუტანია, რისაც ღირსია, ისე უნდა დაისაჯოს.

ეს უთანასწორო ბრძოლა დიდ ხანს არ გაგრძელდა. ჩემს ბატონს ელისბარს წაართვეს კელიდგან ხმალი, მოხსნეს ხანჯალი. შეუკრეს კელები და მიაბეს ხეხედ. — მეც საშინლად მივაწყაწებდა კბილები; რამდენჯერმე შეკვდგი ფეხი ღობესედ; მინდოდა გადამხტარვიყუე ხდმით და ერთი ორიოდე კაცი, მეტადრე ივანე ზრდეთამული, იქნებ ამეკეფა. მაგრამ ვიცოდი, რომ მე ამით ბატონს ვერ გამოვიხსნიდი და ჩემს თავს უბრალოდ წავიხდენდი; ზატარა შალვასედ მზრუნულაობა მე ჩამაბარა ბატონმა ელისბარმა: ამან უფრო შემათყურსა —

შალვამ შეჭსწყუტა კითხუა. მას მოუვიდა ცრემლები თავის მამის უბედურებასედ; მაგრამ. თათქოს შერცხუბამ ცრემლისა, მან ჭსთქუა შტგიცს ხმით:

— გმადლობ, მამაჩემო! შენს ალაგს მეოფი, მეც ებრე მოვიქცეოდი. გუვარებია ქალი და არავისთვის არ დაგინებებია იგი უსისხლოდ. ვიდრე პირში სული გდგო მია. მაგრამ როგორ შემცდარხარ, მამაო! იმისთანა ქა-

დი როგორ აზოურჩეკია შენს გულსა, რომელსაც ეჭვს  
თთქსხედ სხუასიედ გაუცვლასხარ!... ოო, მე რომ ვეო-  
ფილავაყავ, წინაწინ იმ ქალს გაუჭრიდი მკერდსა, ამოვა-  
რთმეკედი მოლაღატე გულსა და ხანჯლის წუჭრხედ შეკ-  
ჭსწვამდი... შენ მეტად გეკარებია და ვერ გამოგიმეტია;  
მაგრამ სხუჭბს საკმაოდ ჯილდო მიუღიათ... ჩუჭნს ეს-  
ლანდელს მეფეს ღამა გიორგის ერთი თვალი გამოთ-  
ხრილი აქვს; ნუ თუ ეს მაშინდელი ბრძოლის ნიშანია!  
მამ მე რაღას მოკელადე იმისაგან კეთილსა? კჭკრძნობ  
რომ მეც მწარე ბუდი მომელის, მაგრამ არ შეგარცხტუნ,  
მამავ! შენი სისხლი მდის მეც ძარღუჭბში. მეც მიუჭარს  
ქალი, მაგრამ არა მსგავსი შენის ელისაბედისა. მეც  
დავანთხეკ ამისთვის სისხლსა... რას იტყუ, თამარ? განა,  
შენ არავისედ გამცვლი, თუგინდა მეფე იყოს ჩემი მე-  
ტოქე? განა უბრალოდ არავის სისხლში ჩამაყენებ?—

—არა, არა! ჭსოქუხ ქალმა შეძწუხებით: ღმერთმა  
დაგვფაროს შენცა და მეც ღალატობისაგანაც და სისხლი-  
საგანაც!.. ოო, რა გული გაქვსთ კაცებსა:...

—დაბოლოკე, დაბოლოკე; ჯერ არა ჭსჩანს მამიშენის  
სიკუდილი, არც დაჭრილობა. იქნება ღმერთმა უშუჭლოს  
და დაიხსნას იმათ კელიდგან. შალვამ აიღო რვეული და  
განაგრძელა:

«ელიზბარე შეჭკრეს მაგრა და ხეხედ მიაბეს; მაგრამ  
იგი გუწლად ყვროდა; «ბატონის შულო! აღარ გახლავან  
ბიჭები? ისინიც მთიშუჭლდეუთ; შეჭყარეთ შთელი სოფე-  
ფელი; გამოაცხადეთ საქუჭუნოდ თქუჭნნი დუწლი და  
ღამარცხება!—

